



სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის  
ღირეპტორი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

22

10

2020 წ.

№ 146

ქ. თბილისი

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/6) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საექსპერტო კომისიის დამტკიცებამდე კომისიის წევრობის კანდიდატებზე წერილობითი დასაბუთების მომზადების შესახებ“ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2014 წლის 16 ივლისის №170 ბრძანების შესაბამისად  
ვბრძანებ:

1.2020 წლის 22 ოქტომბერს შეიქმნას სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2020 წელს პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/6) განმხილველი საექსპერტო კომისია 6 წევრის შემადგენლობით:

1. ნანა ექვთიმიშვილი-რეჟისორი, სცენარისტი;
2. გიორგი ცქვიტინიძე – რეჟისორი, სცენარისტი;
3. გიორგი ბაზლაძე-პროდიუსერი;
4. დავით გურგენიძე-კინომცოდნე;
5. ირაკლი ფანიაშვილი-რეჟისორი;
6. თორნიკე გოგრიჭიანი-რეჟისორი, მსახიობი;

2.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) აი ტი სპეციალისტს თორნიკე ბარდაველიძეს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ღირეპტორი

გაბა ჩხეიძე

წერილობითი დასაბუთება იორგი ბაზღაძის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, იორგი ბაზღაძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე მივიჩნევ, რომ იორგი ბაზღაძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის წევრად.


იორგი ბაზღაძე არის კინოთეატრების ყველაზე დიდი ქსელის „კაგეა“/„რუსთაველი“ – ის თანადამფუძნებელი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. არდა ამისა, გ. ბაზღაძე არის კინოსტუდიების თანადამფუძნებელი. იორგი ბაზღაძე არის ერთ-ერთი წამყვანი პროდიუსერი საქართველოში.

2009 წლიდან იორგი ბაზღაძე იყო არაერთი წარმატებული ფილმის თანაპროდიუსერი და პროდიუსერი: 2009 წელს ვანო ბურდუღის ფილმის „კონფლიქტის ზონა“, 2010 წელს ლევან კოგუაშვილის ფილმის „ქუჩის დღეები“, 2011 წელს ქეთევან მაჭავარიანის ფილმის „მარილივით თეთრი“, 2014 წელს – ლევან თუთბერიძის ფილმის „სოფელი“, 2016 წელს ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმის „რამაზ ჩხიკვაძე“, 2019 წელს გია აგლაძის ფილმის „სხვა მე“ (ფილმი ჯერ წარმოების პროცესშია). ჩამოთვლილმა ფილმებმა მოიპოვეს კრიტიკოსების და მაყურებლის აღიარება, ფილმები მონაწილეობდნენ ისეთ პრესტიჟული კინოფესტივალებზე როგორებიცაა: კობუსის, ედინბურგის, სან-პაულოს, ლოს-ანჯელესის, მონრეალის, მოსკოვის, ვის-ბადენის, ლასის, მონპელიეს, კარლოვი-ვარის, სიეტლის და სხვა.

იორგი ბაზღაძეს, როგორც გამოცდილ და წარმატებულ კინოსაპროდიუსერს, მის საქმიანობაში წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი

გაგა ჩხეიძე



წერილობითი დასაბუთება ნანა ექვთიმიშვილის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ნანა ექვთიმიშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-სა და სხვა წყაროების საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ნანა ექვთიმიშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

2002-2003 წლებში ნ. ექვთიმიშვილი სწავლობდა კიოლნის უნივერსიტეტის კოლეჯში, რომლის დამთავრების შემდეგ, 2003-2008 წლებში მან განათლება მიიღო ონრად ვოლფის სახელობის ოტსდამ-ბაბელსბერგის კინოსა და ტელევიზიის აკადემიაში. 2011-2013 წლებში ნ. ექვთიმიშვილს ჩატარებული აქვს მასტერკლასები რეჟისურასა და სასცენო ხელოვნებაში შოტა რუსთაველის სახელობის თეატლისა და კინოს უნივერსიტეტში, 2014 წელს იგი იყო საერთაშორისო ჟიურის წევრი გერმანიის Go East კინოფესტივალსა და თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ნ. ექვთიმიშვილს გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი ფილმები „დედა“ და „დაკარგული ხმელეთი“, ასევე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გრძელი, ნათელი დღეები“, რომლებმაც მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება. ფილმს „გრძელი, ნათელი დღეები“, მიღებული აქვს 30-ზე მეტი პრიზი, მათ შორის უმრავლესობა ფესტივალების მთავარი პრიზია.

ნანა ექვთიმიშვილს, როგორც წარმატებულ ახალგაზრდა რეჟისორს, მისი თანამედროვე ხედვის, ობიექტურობისა და კოლეგებში მაღალი ავტორიტეტის გათვალისწინებით ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი

გაბა ჩხვიძე  
გ. ჩხ. ჩ

წერილობითი დასაბუთება ირაკლი ფანიაშვილის კომისიის

წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, ირაკლი ფანიაშვილის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-სა და სხვა წყაროების საფუძველზე, მივიჩნევ, რომ ირაკლი ფანიაშვილის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

1991 წელს ირაკლი ფანიაშვილმა დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი, 1998 წელს – კინორეჟისურის უმაღლესი კურსები (ალექსანდრე რეხვიაშვილის სახელოსნო).


2000 – 2006 წწ. ი. ფანიაშვილი იყო ფოტოგრაფიის და ახალი მედიების კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი, 2000 – 2006 წწ. თბილისის კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, 2007 წლიდან ასოციაცია “ველი” – აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარების სტუდიის გამგეობის თავმჯდომარე.

1998 წელს ირაკლი ფანიაშვილმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ხმა (იგი იყო ფილმის რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი), რომელიც 1998 წელს მონაწილეობდა ლაიფციგის დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, ხოლო 2000 წელს უნგრეთში გამართულ ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე.

2009 წელს ფანიაშვილმა გადაიღო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სერგო გოთორანი“ (იგი იყო ფილმის რეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერი). ფილმი 2009 წელს მონაწილეობდა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე, 2010 წელს – ნიდერლანდებში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე, ვოლოგდას საერთაშორისო კინოფესტივალზე, ანტალიის 47-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე.

კინოს სფეროში ი. ფანიაშვილის დიდი და მრავალფეროვანი სამუშაო გამოცდილების, პროფესიონალიზმისა და კარგი მხატვრული გემოვნების გათვალისწინებით, შეირჩეს იგი საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი

გაგა ჩხვიძე  


წერილობითი დასაბუთება დავით გურგენიძის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების 2019-2020 წლის დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/5) შემოტანილი პროექტების განმხილველი საექსპერტო კომისიის პოტენციური შესაძლო) კანდიდატის დავით გურგენიძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ დავით გურგენიძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი ზემოთ მითითებული კონკურსის საექსპერტო კომისიის წევრად.

2004 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, დავით გურგენიძემ სწავლა განაგრძო თბილისის შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სოციალური კვლევების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2008 წელს კინო და ტელე ჟურნალისტიკის ბაკალავრის სპეციალობით. 2016-2018 წლებში მან დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრატურა. 2018 წლიდან დავით გურგენიძე არის პრადის ჩარლზის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი.


2008-2009 წლებში დ. გურგენიძე რადიო გადაცემების „ანარეკლი“ და „წითელი ზონა“ პროდიუსერია, 2016 წელს იგი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფილმების სელექციონერი. 2017 წელს დ. გურგენიძე კავკასიის უნივერსიტეტის ახალი კინოს სკოლაში კითხულობს ლექციების კურსს თემებზე – ნულოვანი კინემატოგრაფი, ალტერნატიული კინო. 2018 წელს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აუდი-ვიზუალური და მედი ხელოვნების ფაკულტეტზე მან წაიკითხა სალექციო კურსი - თანამედროვე კინოს შესავალი.

დ. გურგენიძეს გამოქვეყნებული აქვს რამოდენიმე ნაშრომი კინოს თემატიკაზე.

დავით გურგენიძეს, როგორც მრავალმხრივ განათლებულ და კინოს თემატიკის საფუძველინად მცოდნე პროფესიონალს, ვიწვევ სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების 2019-2020 წლის დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/5) შემოტანილი პროექტების განმხილველი საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი

გაგა ჩხვიძე



წერილობითი დასაბუთება ტორნიკე გოგრიჭიანის

კომისიის წევრად მოწვევის თაობაზე

საექსპერტო კომისიის წევრის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, თორნიკე გოგრიჭიანის პერსონალური მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე მივიჩნევ, რომ ტორნიკე გოგრიჭიანის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა სრულ საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში.

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, თორნიკე გოგრიჭიანმა სწავლა განაგრძო თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტში დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობით. 2010 წელს გაიარა რევაზ გაბრიადის სახელოსნოს სასცენო რეჟისურის კურსი.

2007 წლიდან თორნიკე გოგრიჭიანი თბილისის მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობია. თორნიკე გოგრიჭიანი გადაღებულია 10-მდე მხატვრულ ფილმსა და ამდენივე ტელესერიალში, მას ნათამაშები აქვს როლები როგორც მუსიკისა და დრამის თეატრის დადგმებში, ასევე თავისუფალი თეატრის სპექტაკლებში.

თ. გოგრიჭიანს გადაღებული აქვს ორი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი: „ანდრო“ და „პაპანაქება“.

2010 წელს ხორვატიაში, რიეკას კამერული სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალზე თორნიკე გოგრიჭიანი დასახელდა საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობად.

თორნიკე გოგრიჭიანს, როგორც წარმატებულ ახალგაზრდა მსახიობს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორი

ვაჟა ზვინაძე  
ვ. ზვინაძე

წერილობითი დასაბუთება იორგი (ლაშა) ცქვიტინიძის კომისიის წევრად მოწვევის  
თაობაზე

საექსპერტო კომისიის პოტენციური (შესაძლო) კანდიდატის, იორგი (ლაშა) ცქვიტინიძის პერსონალურ მონაცემების გაცნობის შემდეგ მის მიერ წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე, მივიჩნევ, რომ იორგი (ლაშა) ცქვიტინიძის განათლება, სამუშაო გამოცდილება და კვალიფიკაცია იძლევა საფუძველს, მოწვეულ იქნას იგი საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში

2005-2010 წლებში იორგი (ლაშა) ცქვიტინიძემ სწავლობდა ტბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე რეჟისურის ფაკულტეტზე (მერაბ კოკჩაშვილის სახელოსნო). 2007-2008 წლებში გ. ცქვიტინიძემ გადაიღო ორი სტუდენტური მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, ხოლო 2011 წელს მან გადაიღო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პობუნ“, რომლითაც 2012 წელს მიწვეული იყო ბერლინალეს და სარაევოს ტალენტ კამპუსებზე.

2014 წელს გ. ცქვიტინიძემ გადაიღო პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მე ვარ ბესო“, რომლის პრემიერაც 2014 წელს სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე გამართა. ილმი მონაწილეობდა ფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში. 2014 წელს ფილმი მონაწილეობდა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე „პრომეთე“, სადაც ფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს პრომეთე“ მოიპოვა.

აღნიშნული ფილმების გარდა გ. ცქვიტინიძეს გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმებიც. ამჟამად იგი სრულმეტრაჟიან მხატვრული ფილმზე „ველი“ გადაღების პროცესშია.

იორგი (ლაშა) ცქვიტინიძეს, როგორც ნიჭიერ და წარმატებულ ახალგაზრდა რეჟისორს, ვიწვევ საექსპერტო კომისიის წევრად.

დირექტორის მოვალეობის

მაია ჭილაშვილი

შემსრულებელი

